

## კახური დიალექტის ერთი სოფლის ქცევისათვის

ფილაშვილი ელენე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიDOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.23>

**აბსტრაქტი.** სტატიაში განხილულია, კახური დიალექტის, ახმეტური თქმის მატნური ქცევის თავისებურებანი.

კახური დიალექტი სამ კილოკავად იყოფა: შიგნიკახური, გარეკახური და ქიზიყური. ამჟერად, ყურადღება შევაჩერეთ შიგნიკახური დიალექტის, ახმეტური თქმის სოფელ მატნის ქცევაზე.

სოფელ მატანს თავისებური, ცოცხალი მეტყველება ახასიათებს. მატნური ქცევისთვის ნიშანდობლივია პრეფიქსულ და სუფიქსურ მიჯნაზე რეგრესული ასიმილაცია: **მეეწონა, შააშინა, გეეგო, იმეებს.** მათ გვერდით შეინიშნება ზმნის ფორმაში **ო** ბგერის **ა**-დ ქცევა: **შემაიტანე/შამაიტანე, მაეწონა, გამაიტანე, მაიტანე, მამეცი...** ე ბგერის **ა**-დ ქცევა და **ა** ბგერის **ე**-დ შეცვლა: **შაუკეთე, დეეჭირნა, გემეეშო/გამაეშო...**

მატნურ ქცევაში შეინიშნება **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა მესამე სერიაში თემის ნიშნის გარეშე გამოყენება **-ია** დაბოლოებით, ამასთან ერთად ხშირია ფუძის შემდეგ **-ნ** თანხმოვნის დართვა: **დამიბია, დამიბერტყია/დამიბერტყნია, დამიხატია/დამიხატნია, გამიხედია/გამიხედნია.**

მატნურ ქცევაში ხშირია **ვ** ბგერის დაკარგვა ზმნის ფორმეში: **ჩამოიდე, ამოიდე, მოიდა, ამოიდა, მოალ, შამოიდე...**

მატნური ქცევა სუბიექტურ პირთა ასახვისას ძველ ქართულ სალიტერატურო ენის ნორმებს მიყვება. ზმნაში მეორე სუბიექტური პირი აფიქსით აისახება: **დაჰკრეფ, შესჰამ/შასჰამ, დაჰყრი, გაჰყიდიან, ასდგები...** ხშირია სუბიექტური მესამე პირის დაკარგვა ზმნის შემდეგ ფორმეებში: **მყავ, გყავ...**

მატნური ქცევისთვის დამახასიათებელია **ე**. იგი ძირითადად გვხვდება სიტყვის ფუძეში „ფლოადტი“ (ფლოადტი მომე, ჩავიცო), **ე** ასევე დასტურდება წინამავალი სიტყვის ემფატიკური **ა**-სა და ზმნის ფუძის თანხმოვანთან „რასა დფიქრობ“, „რასა ჰდფიქრობ“. ამ უკანასკნელ ფორმაში **ჰ** სუსტად ისმის.

ყურადღებას იქცევს სახელთა ბრუნების თავისებურება. კერძოდ, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვა. გაბმული მეტყველების დროს მიცემით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი დაკარგულია: „იმ **ქალ** უთხარი“, „ამ **ძალ** აქ რა უნდა“, „წადი, **ცხვარ** მიხედე“, „**ბალ** საჭმელი აჭამე“... ნათესაობით ბრუნვაში იკარგება ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი: „**სოფლი** ბოლოში ცხოვრობს მარტია“, „**ღობი** ძირას არ დააბა ბოჩოლა“, „**სახლი** კუთხეში ამაღ რა უნდა“, „**სახლი** კედელზე მაყუდე თოხი“...

მატნურ ქცევაში გაბმული მეტყველების დროს, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერი თანხმოვანი ყრუვდება, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ვიღებთ **-ათ** დაბოლოებას: **კაცათ** (კაცად), **ცუდათ** (ცუდად), **მშვენივრათ** (მშვენივრად), **კობათ** (კობტად), **ლამაზათ** (ლამაზად), **კარგათ** (კარგად) ამ უკანასკნელი ფორმის გვერდით დასტურდება იმავე გზით მიღებული „**კარეი**“.

ყურადღებას იქცევს სინტაქსური კონსტრუქციებიც, ზოგჯერ კავშირებს

ჩამოშორებული აქვს თანხმობითი ნაწილები:

**„ფული არ მქონდა, მარა (მაგრამ) მაინც ვიყიდე“;**

**„დღემ ჩვენსა უნდა ჩამოსულიყო, მარა (მაგრამ) მამატყუა“;**

**„თუ ავიღე კაკაჩუნა (ცეცხლის საჩხრეკი რკინა), მოგაყოლებ კოკოშაში (თავი)“;**

**„აქამდე უნდა გეღვიძნა და არ გაულვიძნია“.**

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ნათლად იკვეთება რომ კავშირის ინტონაციური შესაძლებლობანი, რომ კავშირს ზოგჯერ ჩამოცილებული აქვს თანხმობანი მ, ზოგჯერ კი ემატება ნაწილაკი ა:

**„დედაკაცო, ბადია (მომცრო ზომის თასი) მამაწოდე, რო (რომ) სალათამ ჩავჭრა“;**

**„მე უთხარი, რომა მივიდოდი“;**

**„ვერაფერი გავაკეთე იმიტომ რომა, დამილამდა“;**

**„ომიდენი ფული აქ რომა, ყველაფერ იყიდის“.**

მატნური ქცევა განსაკუთრებით მდიდარია ლექსიკური თვალსაზრისით. დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: „აფ“, „ბოზოლა“, „ბადია“, „ადაოდე“, „ყინტრა“/„გამოყინტრა“, „ვარყალი“, „კაკაჩუნა“ „ყურუმსალი“, „პოლორჭიკა“ და სხვა.

სოფელ მატანში არაერთი გვარ-სახელია გავრცელებული. ზოგიერთი ციხე და ეკლესია მკვიდრი მოსახლეობის გვარით ან სახელითაა ცნობილი. სახელის საწარმოებლად გამოყენებულია -ან სუფიქსი, რომელიც ფუძეზე დართვისას გამოხატავს კრებითობას და მასზე დამატებული -თ კი კუთვნილებას. ამ ფორმით მიუღიათ შემდეგი სახელწოდებები: **ერელაანთ ეკლესია, მერაბაანთ საყდარი, ბათურაანთ ეკლესია** და ა. შ. ამავე წესითაა მიღებული პიროვნების სახელდება, როცა სოფლის მოსახლეობა შინაურულად მოიხსენიებს თანასოფელს: **მათირაანთ დათუა, ჭიჭიაანთ გია, სარქისაანთ ბესიკა, ბათურიანთ ნანულა, ქიტესაანთ ზურია** და ა. შ.

სოფ. მატნის მკვიდრთა მეტყველებაში ჩანს საერთო ენობრივი ლექსიკის არქაული ფენიდან მომდინარეობის ტენდენცია, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოფელ მატანში საკუთრივ კახელებთან ერთად სახლობენ ფშავ-ხევსურებიც, გამორიცხული არ არის ზოგიერთი ლექსიკური ერთეული ამ დიალექტებიდან იყოს შემოსული, რასაც ადასტურებს მეცხვარეობა - მესაქონლეობასთან დაკავშირებული საერთო ლექსიკური ერთეულები: **„მწყემსი“, „თოხლი“, „უშობელი“, „ჭედილა“, „თეო“, თივა“, „ჩუმ“, „დვრიტა“** და სხვა.

ამრიგად, კახური დიალექტის მატნური ქცევა ქართული ენის სიმდიდრეა. ქცევა, ისევე როგორც ენა, იცვლება „დროსა და სივრეში“, რაზეც გავლენას ახდენს სხვადასხვა პირობები. მატნური ქცევისთვის დამახასიათებელ ფორმათა უმრავლესობა ნაკლებად გამოიყენება ქართულ სამწიგნობრო ენაში, თუმცა უცხო არ არის ქართულისათვის, რაც დიალექტისა და სალიტერატურო ქართული ენის მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითებს. დიალექტში დაუნჯებული ფორმა ენის შინაგანი შესაძლებლობითაა განპირობებული. მატნური ქცევა ქართული ენის კახური დიალექტის განუყოფელი ნაწილია. კუთხური ქცევის უნიკალური ნიმუშების, ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების სისტემური ანალიზი მნიშვნელოვანია კახური დიალექტის შესასწავლად.

**საკვანძო სიტყვები:** კახური დიალექტი, მატნური ქცევა, ლექსიკური ერთეულები, ცოცხალი მეტყველება, გრამატიკული ფორმები.

ახმეტის მუნიციპალიტეტში ქალაქ ახმეტიდან ხუთ კილომეტრში მატნისხევის ნაპირზე (მდ. ალაზნის ნაპირზე) მდებარეობს სოფელი მატანი.

ისტორიულად ცნობილია, რომ სოფლის მიდამოები V-VI საუკუნიდან ყოფილა დასახლებული, სახელწოდება სოფელს ერწო-თიანეთიდან კახეთში მოსახლეობის მიგრაციის დროს უნდა შერქმეოდა. ტოპონიმი „მატანი“ ერწოში XII-XIII საუკუნეებში უკვე დასტურდება, ხოლო ქართულ საისტორიო წყაროებში სოფელი პირველად XVI

საუკუნეში (1518-1574 წწ.) ლევან კახთა მეფის დროს იხსენიება. ცნობილია, ისიც რომ XVII – XVIII საუკუნეებში მატანი კახეთის თავადებს ჩოლოყაშვილებს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია ის, ფაქტიც, რომ სოფელ მატანს ადრე „მარილისი“ ერქვა, ეს სახელი დღესაც ქვია მატნის ერთ-ერთ უბანს (ვახუშტი; 1941; 207; 181, 276).

„დიალექტი ზეპირი მეტყველებაა. წერის დროს ხდება მისი ფიქსაცია - ან შესწავლის მიზნით, ან ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად“ (ჯორბენაძე, 1989: 7). „ქართული „კილო“ იმთავითვე გულისხმობდა ამა თუ იმ პიროვნებისათვის, კუთხისათვის დამახასიათებელ წარმოთქმას, გამოთქმას, საუბრის იერს, ელფერს, ინტონაციას, ხმის მიმოქცევას“ (ჯორბენაძე, 1989: 7).

კახური დიალექტი სამ კილოკავად იყოფა: შიგნიკახური, გარეკახური და ქიზიყური.

ამჯერად, ყურადღება შევაჩერეთ შიგნიკახური დიალექტის, ახმეტური თქმის სოფელ მატნის ქცევაზე.

სოფელ მატანს თავისებური, ცოცხალი მეტყველება ახასიათებს. მატნური ქცევისთვის ნიშანდობლივია პრეფიქსულ და სუფიქსურ მიჯნაზე რეგრესული ასიმილაცია: **მეეწონა** (მოეწონა), **შააშინა** (შეაშინა), **გეეგო** (გაეგო), **იმეებს** (იმათ). მათ გვერდით შეინიშნება ზმნის ფორმაში **ო** ბგერის **ა**-დ ქცევა: **შემაიტანე/შამაიტანე** (შემოიტანე), **მაეწონა** (მოეწონა), **გამაიტანე** (გამოიტანე), **მაიტანე** (მოიტანე), **მამეცი** (მომეცი), **მასტეხა** (მოსტეხა)... **ე** ბგერის **ა**-დ ქცევა და **ა** ბგერის **ე**-დ შეცვლა: **შაუკეთე** (შეუკეთე), **დეეჭირნა** (დაეჭირნა), **გემეეშო/გამაეშო** (გამოეშვა),...

მატნურ ქცევაში შეინიშნება **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა მესამე სერიაში თემის ნიშნის გარეშე გამოყენება **-ია** დაბოლოებით, ამასთან ერთად ხშირია ფუძის შემდეგ **-ნ** თანხმოვნის დართვაც: **დამიბია** (დამიბამს), **დამიბერტყია/დამიბერტყნია** (დამიბერტყავს), **დამიხატია/დამიხატნია** (დამიხატავს), **გამიხედია/გამიხედნია** (გამიხედავს).

სახენაცვალია სალიტერატურო **ვსვამ** ფორმა, დასტურდება **ვსვავ** (**-ავ** თემის ნიშნით) ან **დავლევ** ფორმის გამოყენება.

მატნურ ქცევაში ხშირია **ვ** ბგერის დაკარგვა ზმნის ფორმეში: ჩამოიდე (ჩამოვიდე), ამოიდე (ამოვიდე), მოიდა (მოვიდა), ამოიდა (ამოვიდა), მოალ (მოვალ), შამოიდე (შემოვიდე)...

მატნური ქცევა სუბიექტურ პირთა ასახვისას ძველ ქართულ სალიტერატურო ენის ნორმებს მიყვება. ზმნაში მეორე სუბიექტური პირი აფიქსით აისახება. ჩანს, მატნურ ქცევაში შენარჩუნებულია პირის ნიშნიანი ფორმების გამოყენება: **დაჰყრი, დაჰკრეფ, შესჰამ/შასჰამ, გაჰყდიან, ასდგები...**

ხშირია სუბიექტური მესამე პირის დაკარგვა ზმნის შემდეგ ფორმებში: **მყავ** (მყავს), **გყავ** (გყავს)...

ყურადღებას იქცევს ზმნის ფორმა **„ჰყვანდა“** (ჰყავდა). იგი მიღებული ჩანს მეტათეზისითა და **ნ** ბგერის განვითარების გზით.

მატნური ქცევისთვის დამახასიათებელია **ფ**. იგი ძირითადად გვხვდება სიტყვის ფუძეში „ფლომტი“ (ფლომტი მომე, ჩავიცო), **ფ** ასევე დასტურდება წინამავალი სიტყვის ემფატიკური **ა**-სა და ზმნის ფუძის თანხმოვანთან **„რასა ფფიქრობ“/„რასა ჰფფიქრობ“**. ამ უკანასკნელ ფორმაში **ჰ** სუსტად ისმის.

ყურადღებას იქცევს სახელთა ბრუნების თავისებურება. კერძოდ, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვა. გაბმული მეტყველების დროს მიცემით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი დაკარგულია: „იმ **ქალ** უთხარი“, „ამ **ძალღ** აქ რა უნდა“, „წადი, **ცხვარ** მიხედე“, „**ბაღღ** საჭმელი აჭამე“... ნათესაობით ბრუნვაში იკარგება ბრუნვის ნიშნის

თანხმომცნითი ნაწილი: „სოფლი ბოლოში ცხოვრობს მარტია“, „ღობი ძირას არ დააბა ბოჩოლა“, „სახლი კუთხეში ამაღა რა უნდა“, „სახლი კედელზე მაყუდებ თოხი“...

მატნურ ქცევაში გაბმული მეტყველების დროს, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერი თანხმომცნის ყრუვდება, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ვიღებთ -ათ და გვაქვს შემდეგი ფორმები: **კაცათ** (კაცად), **ცუდათ** (ცუდად), **მშვენიერათ** (მშვენიერად), **კობტათ** (კობტად), **ლამაზათ** (ლამაზად), **კარგათ** (კარგად) ამ უკანასკნელი ფორმის გვერდით დასტურდება იმავე გზით მიღებული „**კარქი**“.

სასაუბრო მეტყველებაში შეინიშნება შემდეგი ფორმები: **იგრე** (ისე), **ეგრე** (ესე), **იგეთი** (ისეთი), **ინდე** (აი) და ა.შ.

სოფელ მატანის ქცევაში ყურადღებას იქცევს სინტაქსური კონსტრუქციებიც, ზოგჯერ კავშირებს ჩამოშორებული აქვს თანხმომცნითი ნაწილები:

„**ფული არ მქონდა, მარა** (მაგრამ) **მაინც ვიყიდე**“;

„**დღე ჩვენსა უნდა ჩამოსულიყო, მარა** (მაგრამ) **მამატყუა**“;

„**თუ ავიღე კაკაჩუნა** (ცეცხლის საჩხრეკი რკინა), **მოგაყოლებ კოკოშაში** (თავი)“;

„**აქამდე უნდა გეღვიძნა და არ გაუღვიძნია**“.

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ნათლად იკვეთება რომ კავშირის ინტონაციური შესაძლებლობანი, რომ კავშირის ზოგჯერ ჩამოცილებული აქვს თანხმომცნის მ, ზოგჯერ კი ემატება ნაწილაკი ა:

„**დედაკაცო, ბადია** (მომცრო ზომის თასი) **მამაწოდე, რო** (რომ) **სალათაა ჩავჭრა**“;

„**მე უთხარი, რომა მივიდოდი**“;

„**ვერაფერი გავაკეთე იმიტომა რომა, დამიღამდა**“;

„**ომდენი ფული აქ რომა, ყველაფერ იყიდის**“.

მატნური ქცევა განსაკუთრებით მდიდარია ლექსიკური თვალსაზრისით. დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა:

„**ბოხოლა**“ - სააღდგომო კალენდარი, ამზადებენ ხახვისა და ბუმბულებისაგან. იყენებენ ყეინობის თარიღისა და არდგომის დღესასწაულის გამოსათვლელად.

„**ბადია**“ - საშუალო ზომის თასი.

„**აფ**“ - გაკვირვების გამომხატველი შორისდებული (ახალგაზრდათა მეტყველებაშიც აქტიურად გამოიყენება).

„**ადაოდე**“ - აბდაუბდა.

„**ყინტრა**“/„**გამოყინტრა**“ - გამოადლო.

„**ვარყალი**“ - შანდალი.

„**ყურუმსალი**“ - მაიმუნი, ეშმაკუნა.

„**თავბოღჩიანი**“ - დიდთავიანი.

„**კაკაჩუნა**“ - ღუმლის, ნაკვერჩხლის საჩხრეკი რკინა.

„**პოლორჭიკა**“ - მატრაკვეცა.

„**კაწაწა**“ - მოჩხუბარი ქალი, რომელმაც კაწვრა იცის.

„**კაჭეჭი/კეჭეჭი**“ - მცენარის, სიმინდის მოჭრილი გამხმარი ღერო.

„**ნაკატო**“ - სიმინდის უმარცვლო ტარო, ლობიოს ნაგული.

„**კლერტი**“ - ერთგვარი ბალახი.

„**ჩინჩხვარი**“ - ყურძნის დაწურვის შემდეგ რაც დარჩება, ამ მნიშვნელობით იხმარება სიტყვა - „**კლერტიც**“ .

„**ჭიტლაყი**“ - პანდური.

„**ბაჯაჯღანა**“ - დაბალი და განიერი ტანის ადამიანი.

„**აჯილღა**“ - სალიტერატურო ქართულში იგი მიწის სახვნელ იარაღს აღნიშნავს,

კერძოდ, ეს არის დიდი გუთვნისთვის დამახასიათებელი ფრთა, მატნურ ქცევაში კი აჯილღას ემახიანს აქეთ-იქით მორბენალ ქალს.

„აბდალი“ - ჩერჩეტი, სულელი.

„აბლაყი“ - აყლაყუდა, მაღალი კაცი.

„იარმუკა“ - ხმარობენ ბაზრის მნიშვნელობით (იყენებენ იშვიათად).

„ლებუა“ - ლობიო (იყენებენ იშვიათად).

„ბრუციანი“ - ბრმა.

„ხოწა“ - ხის ვაზა ან მოზრდილი თევზი.

„დედაკაცი“ - ოჯახის ქალი, მეუღლე.

„გეჯა“ - საქონლის საჭმელი ჭურჭელი.

„ბოჩოლა“ - პატარა ხბო.

„პალო“ - ხის ან რკინის პატარა, მსხვილი წვეტიანი ნაჭერი.

„სახრე“ - დიდი, წვრილი, გრძელი ჯოხი საქონლის გადასარეკად.

„გამენძვა“ - გავსება, გატენვა.

„შინ“ - საკუთარი სახლი.

„ტუგრია“ - ცუგა, ძაღლის ლეკვი.

„დიდო“ - ძროხის გასაგდები შემახილი.

„გაპაპაჯორება“ - განებივრება, გაბატონება.

„თათო“ - ბავშვის ენაზე ბავშვის ხელი.

„ბაბა“ - ბავშვის ენაზე პური.

„თათრულა“ - მხალი, საკვებად ვარგისი სარეველა ბალახი.

„ნაცარქათამა“ - მხალი, საკვებად ვარგისი სარეველა ბალახი.

„შელგა“ - მხალი, საკვებად ვარგისი სარეველა ბალახი.

„შეშის დაპლახვა“ - კუნძის მოზრდილ ნაწილებად დაჭრა.

„პლახი“ - შეშის მოზრდილი ნაჭერი.

„ქაჩალი“ - უთმო, მელოტი ადამიანი.

„ჯეილი“ - ახალგაზრდა.

„რეტის დასხმა“ - თავბრუსხვევა.

„ბარგანაობა“ - ტორტმანი, ტოკვა.

„ლუგუმი“ - უგემური, უმარილო.

„ვერ მოვიანდევე“ - ვერ მოვიფიქრე.

სოფელ მატანში არაერთი გვარ-სახელია გავრცელებული. ზოგიერთი ციხე და ეკლესია მკვიდრი მოსახლეობის გვარით ან სახელითაა ცნობილი. სახელის საწარმოებლად გამოყენებულია -**ან** სუფიქსი, რომელიც ფუძეზე დართვისას გამოხატავს კრებითობას და მასზე დამატებული -**თ** კი კუთვნილებას. ამ ფორმით მიუღიათ შემდეგი სახელწოდებები: **ერელაანთ ეკლესია, მერაბაანთ საყდარი, ბათურაანთ ეკლესია** და ა. შ. ამავე წესითაა მიღებული პიროვნების სახელდება, როცა სოფლის მოსახლეობა შინაურულად მოიხსენიებს თანასოფელს: შათირიაანთ დათუა, ჭიჭიაანთ გია, სარქისაანთ ბესიკა, ბათურიაანთ ნანულა, ქიტესაანთ ზურია და ა. შ.

მატნურ ქცევაში ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელები. ცნობილია, რომ „ადამიანის საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. საკუთარ სახელებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობებიც განსაზღვრავს“ (დლონტი, 1988: 157). არაოფიციალურ გარემოში მატნურ ქცევას საკუთარ სახელთა კნინობითი მაწარმოებლის -**ა** აფიქსის დართვა ახასიაებს, თუმცა აქ საკუთარ სახელს კნინობითი შინაარსის დატვირთვა მოკლებული აქვს:

ეთუა, ეთერა, ბესიკა, როლანდა, დათუა, დავითა, ასმათა, თამარა, არმაზა, ნოდარა, რუსიკა, მალხაზა და ა. შ.

სოფ. მატნის მკვიდრთა მეტყველებაში ჩანს საერთო ენობრივი ლექსიკის არქაული ფენიდან მომდინარეობის ტენდენცია, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოფელ მატანში საკუთრივ კახელებთან ერთად სახლობენ ფშავ-ხევსურებიც, გამორიცხული არ არის ზოგიერთი ლექსიკური ერთეული ამ დიალექტებიდან იყოს შემოსული, რასაც ადასტურებს მეცხვარეობა - მესაქონლეობასთან დაკავშირებული საერთო ლექსიკური ერთეულები:

„მწყემსი“ - ადამიანი რომელიც საქონელს მწყემსავს; „თოხლი“ - ახალგაზრდა ცხვარი ექვსი თვიდან ერთ წლამდე; „უშობელი“ - ახალგაზრდა ცხვარი, რომელსაც ჯერ ბატკანი არ გაუჩენია; „ჭედილა“ - მამალი ცხვარი; „თეო“ - ადგილი ცხვირის ბინის გარშემო, სადაც ძაღლები დარაჯობენ. „თივა“ - ხმელი ბალახი ზამთარში საქონლისთვის; „ჩუმა“ - კარაქმოხდილი შედღვებილი რძე; „დვრიტა“ - ძუძუთა ბოჩოლის კუჭი, იყენებენ ყველის დედის დასამზადებლად და სხვა.

ამრიგად, კახური დიალექტის მატნური ქცევა ქართული ენის სიმდიდრეა. ქცევა, ისევე როგორც ენა, იცვლება „დროსა და სივრეში“, რაზეც გავლენას ახდენს სხვადასხვა პირობები. მატნური ქცევისთვის დამახასიათებელ ფორმათა უმრავლესობა ნაკლებად გამოიყენება ქართულ სამწიგნობრო ენაში, თუმცა უცხო არ არის ქართულისათვის, რაც დიალექტისა და სალიტერატურო ქართული ენის მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითებს. დიალექტში დაუნჯებული ფორმა ენის შინაგანი შესაძლებლობითაა განპირობებული. მატნური ქცევა ქართული ენის კახური დიალექტის განუყოფელი ნაწილია. კუთხური ქცევის უნიკალური ნიმუშების, ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების სისტემური ანალიზი მნიშვნელოვანია კახური დიალექტის შესასწავლად.

#### ლიტერატურა:

1. ვახუშტი. (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა; გამომცემლობა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ლლონტი, ალ. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები; გამომცემლობა „განათლება“ თბ.
3. ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.
4. ჯორბენაძე, ბ. (1998). ქართული დიალექტოლოგია, II, თბილისის ჯორბენაძის საზოგადოების გამომცემლობა, თბ.
5. ჯორბენაძე, ბ. (1995). ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.

#### საანალიზო წყარო:

ქალაქ ახმეტის სოფელი მატანი (მოსახლეობა).

## Abstract

The article discusses the peculiarities of Matani patois of Akhmetian speech of the Kakhetian dialect.

The Kakhetian dialect is divided into three subdialects: Shignikakhuri, Garekakhuri, and Kizikuri. This time, we will focus on the village Matani patois of the Akhmetian speech of Shignikakhuri subdialect.

The village of Matani is characterized by a peculiar, lively speech. Regressive assimilation at the prefix and suffix border is characteristic of the Matani patois: **meetsona** (liked) **shaashina** (frightened), **geego** (heard), **imeeb** (those). Alongside them, the transformation of the sound "o" into "a" in the verb form is observed: **shemaitane/shamaitane** (bring in), **maetsona** (liked), **gamaitane** (take out), **maitane** (bring), **mametsi** (give me)... the transformation of the sound "e" into "a" and the transformation of the sound "a" into "e" is noticed: **shaukete** (put in), **deechirna** (has caught), **gemeesho/gamaesho** (has released)...

In Matani patois the "-av" and "-am" topic-marking verbs in the third series are used without topic marker with the ending "-ia", along with it the consonant "-n" is frequently added after the root: **damibia** (have tided), **damibertkia/damibertknia** (have shaken off), **damikhatia/damikhatnia** (have pained), **gamikhedia/gamikhednia** (have looked out).

In Matani patois, the loss of the sound "v" in the verb forms is common: **chamoide** (arrive/come down), **amoide** (come up), **moida** (has come), **amoida** (has come up), **moal** (will come), **shamoide** (will come in)...

The Matani patois referring the subjects and objects follows the norms of the old Georgian literary language. The second subjective person of the verb is expressed with an affix. It seems that the use of person-marking forms is saved in the Matani patois: **dahkrep** (you will pick), **shescham/shascham** (you will eat), **dahkri** (you will through/drop), **gahkidian** (they will sell), **asdgebi** (you will stand up)...

Next to the preserved subjective second person form, it is common to lose the subjective third person mark in the following forms of verbs: **mkav** (I have), **gkav** (you have) ...

The vowel *o* (iota) is characteristic of Matani patois. It is mainly found in the root of the word "flooti" (flo'ti mome, chavitso - give me the slippertoe to wear), *o* is also confirmed with the emphatic "a" of the preceding word and the consonant of the verb root "rāsa opikrob"/"rāsa hpikrob" (what are you thinking of). In the latter form, the letter "h" sounds weakly.

The peculiarity of noun case stands out. In particular, dative and genitive cases. With continuous speech the dative case loses the case mark: "im **kal** utkhari" (tell that woman), "am **dzagl** ak ra unda" (what does this dog doing here), "tsadi **tskhvar** mikhede" (go, take care of the sheep), "**balg** sachmeli achame" (feed the child)... In genitive case the consonant part of the case mark is lost: "**sofli** boloshi tskhovrobs martia" (Martia lives at the end of the village), "**gobi** dziras ar daaba bochola" (don't tide the calf by the fence), "**sakhli** kutkheshi amao ra unda" (what is it doing at the corner of the house), "sakhli kedelze maakude tokhi" (lean the hoe to the wall of the house)...

With continuous speech in Matani patois, the voiced consonant at the absolute end of the word becomes voiceless, we take the ending "-at" as a mark of adverbial case and have the

following forms: **katsat** (katsad) - manly, **tsudat** (tsudad) - badly, **mshvenivrat** (mshvenivrad) - wonderfully, **kokhtat** (kokhtad) - finely, **lamazat** (lamazad) - beautifully, **kargat** (kargad) - well; next to this last form, the **"karki"** obtained in the same way is confirmed.

Syntactic constructions also stand out, sometimes consonant parts are removed from conjunctions:

**'puli ar mkonda, mara (magram) maints vikideo'**

**I didn't have any money, but I bought it anyway";**

**"dgeo chvensa unda chamosuliko, mara (magram) mamatkua";**

**"He was supposed to come to our place today, but he lied to me";**

**"tu avige kakachuna (poker), mogakoleb kokoshashi (head)";**

**"If I took a poker, I would heat you in you head";**

**"akamde unda geegvidzna da ar gaugvidznia".**

**"He should have woken up by now, but he hasn't yet."**

In the hypotaxis construction, the intonational possibilities of the conjunction **"rom"** (that) are clearly evident. The conjunction sometimes has the consonant **"m"** removed, and sometimes the particle **"a"** is added:

**"dedakatso, badia (small bowl) mamatsode, ro (rom) salati chavchra";**

**"Woman, give me a bowl (a small bowl) so I could cut the salad in";**

**"me utkhari, roma mividodi";**

**"I told him I would come";**

**"veraperi gavakete imitoma roma, damigamda";**

**"I could do nothing because it got dark";**

**"omdeni puli ak roma, kvelafer ikidis."**

**"He's got so much money that, he can buy anything."**

The Matani patois is particularly rich in terms of vocabulary. The lexical units such as: **"ap"**, **"bobola"** (important person), **"badia"** (bowl), **"adaode"** (abdaubda) (nonsense), **"kintra"/"gamokintra"** (stuffed with food), **"varkali"** (candlestick), **"kakachuna"**, **"kurumsagi"** (monkey), **"polorchika"** (show off, cutesy) and etc. are attested.

There are many names and surnames common in the village of Matani. Some fortresses and churches are known by the surnames or names of the local population. In the names formation the suffix **"-an"** is used, which is added to the root to express collectivity, and **"-t"** added to it, indicates belonging. The following names were obtained this way: **Erelaant Eklesia** (Erelas' church), **Merabaant Sakdari** (Merabaanis' church), **Baturaant Eklesia** (Baturaanis' church), etc. The same rule is used for personal names when the village population refers to a fellow villager familiarly: **Shatiriaant Datua** (Datua of Shatiraani), **Chichiaant Gia** (Gia of Chichiaani), **Sarkisaant Besika** (Besika of Sarkisaani), **Baturiaant Nanula** (Nanula of Baturaani), **Kitesaant Zuria** (Kitesaani's Zuria), etc.

The speech of the inhabitants of the village of Matani shows a tendency for the common linguistic vocabulary to derive from the archaic layer. It is also worth noting the fact that Pshav-Khevsurians also live in the village of Matani along with the Kakhétians. It is not excluded that some lexical units may have come from these dialects, which is confirmed by the common lexical units related to sheep farming - cattle breeding:

**"mtskemsi"** (shepherd), **"tokhli"** (lamb), **"ushobeli"** (heifer), **"chedila"** (castrated ram), **"teo"** (the guard post of a shepherd and a dog near the night shelter of a flock of sheep), **"tiva"** (hay), **"chuma"** (cream), **"dvrita"** (rennet) and etc.

Thus, the Matani patois of the Kakhétian dialect is a wealth of the Georgian language.

Patois, like language, changes over time and space, that is influenced by various conditions. The majority of forms characteristic of Matani patois are not used in the Georgian literary language, though they are not alien to Georgian, which indicates a close relationship between the dialect and the literary Georgian language. The form of the dialect is determined by the internal possibilities of the language. Matani patois is an integral part of the Kakhetian dialect of the Georgian language. A systematic analysis of the unique patterns of patois, vocabulary, and grammatical forms is important for the study of the Kakhetian dialect.

***Keywords:*** *Kakhetian dialect, Matani patois, lexical units, living speech, grammatical forms*